ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ჩოხატაური წერეთლის ქ. №2

☎ 577 44 40 60
577 47-43-34

N 36
15/07/2020

36-08-4-202007151709

საკრებულოს თავმჯდომარის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი

სხდომის მოწვევის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 26-ე მუხლის 1-ლი პუნქტის , 61 -ე მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის №2 დადგენილებით დამტკიცებული ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის მე-40 მუხლის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. მიმდინარე წლის 22 ივლისს დღის 12 საათზე, მოწვეულ იქნეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა შემდეგი დღის წესრიგით:

1.1 სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2020 წელს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში დასაფინანსებელი პროექტის მოწონების შესახებ.

მომხსენებელი: მერაბი ბერძენიშვილი

1.2. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ქონების 2020 წლის საპრივატიზაციო ობიექტის ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: ლელა მდინარაძე

1.3. „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 დეკემბრის N31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: თეა უჯმაჯურიძე

1.4. “ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ” - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 დეკემბრის N37 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხსენებელი: თეა უჯმაჯურიძე

1.5. „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიაში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა და სამშენებლო სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისთვის გამოსაყენებელი დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ“ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 9 თებერვლის N8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: თეა უჯმაჯურიძე

1.6. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: ნიკოლოზ დუმბაძე

1.7. „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის“ შესაბამისად სოციალური დახმარების დანიშვნისა და გაცემის თაობაზე სოციალური სამსახურის ანგარიში 6 თვეში გაწეული საქმიანობის შესახებ.

მომხსენებელი: ნიკოლოზ დუმბაძე

1.8. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბერის №12 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: მაია გოგოლაძე

1.9. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის ექვსი თვის შესრულების შესახებ.

მომხსენებელი: მაია გოგოლაძე

1.10. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში ჩოხატაური-ბახმაროს შიდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზის მე-4 კმ-დან (პკ. 4+200) მე-6 კმ-ის ჩათვლით (პკ. 6+100) არსებული ჩიხებით ანა კალანდაძის სახელის მინიჭების დაშვების მიზანშეწონილობის თაობაზე.

მომხსენებელი: მარინე ბერაძე

1.11. თანამედროვე სახვითი ხელოვნების გალერეასთვის ედმონდ კალანდაძის სახელის მინიჭების დაშვების მიზანშეწონილობის თაობაზე.

მომხსენებელი: მარინე ბერაძე

2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში, ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე – ჭავჭავაძის ქ. N 4.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ზაალ მამალაძე

საკრებულოს თავმჯდომარე
ხელმძღვანელობა